ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 18-48

“ 22 ” ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-68 დადგენილებით (ვებგვერდი-www.matsne.gov.ge, 24/12/2014; სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016066) დამტკიცებულ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულებაში“ და დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამსახურს აქვს დებულება, ბლანკი, დამზადებული მწვანე ნარგავების მიღება-ჩაბარების დოკუმენტის დასადასტურებელი ბეჭედი-სახელწოდებით „მწვანე ნარგავების ტრანსპორტირებისთვის“, აგრეთვე ბეჭედი სამსახურის სახელწოდების აღნიშვნით და ამ სტატუსის მქონე სამსახურისათვის ნებადართული სხვა ოფიციალური რეკვიზიტები.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი, პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური (შემდგომში - სამსახური) იძენს უფლებამოსილებას იქონიოს დამოუკიდებელი ბეჭედი, რომლითაც „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დაადასტურებს დამზადებული მწვანე ნარგავების მიღება-ჩაბარების დოკუმენტს. აღნიშნული ბეჭდის დამზადების აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ დამზადებული მწვანე ნარგავების მიღება-ჩაბარების დოკუმენტი გაიცემა დამზადებული მწვანე ნარგავების გადაზიდვის მიზნით. დამზადებული მწვანე ნარგავების მიღება-ჩაბარების დოკუმენტი ივსება ორ ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა დაინტერესებულ პირს (გადამზიდავს) ტრანსპორტირებისათვის, რომლის მოქმედების ვადა არის დამოწმებიდან არაუმეტეს 6 (ექვსი) საათისა, შესაბამისად დოკუმენტი უნდა შედგეს და დამოწმდეს ადგილზე, საიდანაც ხდება ტრანსპორტირება. არსებული მდგომარეობით მითითებული დოკუმენტის დასადასტურებლად გამოიყენება სამსახურის ბეჭედი, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის სამსახურის საქმიანობის განხორციელებისას.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას თბილისის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.